2026 წლის 1 მარტიდან შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით ახალი წესები ამოქმედდება

1 მარტიდან საქართველოში შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის ახალი წესები ამოქმედდება. ცვლილებები უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებს შეეხებათ, რომლებიც საქართველოში ანაზღაურებად საქმიანობას გეგმავენ.

ახალი წესების შესაბამისად, ყველა უცხოელმა, ვისაც სურს ადგილობრივ დამსაქმებელთან მუშაობა ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება (მაგალითად მომსახურება, ვაჭრობა ან მეწარმეობა), მუშაობის უფლება/ნებართვა წინასწარ უნდა მოიპოვოს.

ცვლილებები ვრცელდება:

- იმ უცხოელებზე, რომლებსაც არ აქვთ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა და მუშაობენ ადგილობრივ დამსაქმებელთან, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ სამუშაოს დისტანციურად ასრულებენ.
- იმ უცხოელებზე, რომლებსაც არ აქვთ მუდმივი ბინადრობის ნებართვა და საქმიანობენ როგორც თვითდასაქმებულები.

კანონში მოცემული განმარტების შესაბამისად თვითდასაქმებული უცხოელი წარმოადგენს პირს, რომელიც საქართველოში ახორციელებს შრომით საქმიანობას, მათ შორის, არის ვაჭრობის, მომსახურების ან სხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებელი ან პარტნიორი, დამოუკიდებელი კონტრაქტორი ან სხვაგვარად არის ჩართული სამეწარმეო/შრომითი საქმიანობის პროცესში და ამ საქმიანობის მიზანი ფინანსური სარგებლის მიღებაა.

შესაბამისად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება არამხოლოდ ადგილობრივ დამსაქმებელთან დასაქმებულ უცხოელზე ან/და მომსახურების გამწევ პირზე, ინდ. მეწარმეზე, არამედ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის დირექტორებზე, პარტნიორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

რა არის საჭირო, რომ უცხოელმა საქართველოში კანონიერად იმუშაოს?

უცხოელს შეუძლია საქართველოში მუშაობა ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად შესრულებულია შემდეგი პირობები:

- + უცხოელსა და ადგილობრივ დამსაქმებელს შორის გაფორმებულია შრომის ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს თვითდასაქმებული უცხოელის შემთხვევის გარდა, რომელთანაც შესაძლოა გაფორმდეს მომსახურების ხელშეკრულება ან ის საქმიანობდეს, მაგალითად, ინდივიდუალური მეწარმის, დირექტორის ან პარტნიორის სტატუსით.
- + შრომით იმიგრანტს ან თვითდასაქმებულ უცხოელს აქვს მიღებული შრომითი საქმიანობის უფლება/ნებართვა.

უცხოელს აქვს შესაბამისი საიმიგრაციო სტატუსი: შრომითი ბინადრობის ნებართვა, D1 კატეგორიის სამუშაო ვიზა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ბინადრობის ნებართვა. კერძოდ:

- თუ უცხოელი საქართველოში არ იმყოფება, შრომითი საქმიანობის უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს D1 სამუშაო ვიზის მისაღებად.
- თუ უცხოელი უკვე ლეგალურად იმყოფება საქართველოში, შრომითი საქმიანობის უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს შრომითი ან IT ბინადრობის ნებართვის მისაღებად.

სამუშაო ვიზის ან შრომითი/IT ბინადრობის ნებართვის მიღების წინაპირობაა შრომითი საქმიანობის უფლების ქონა. თუ ეს უფლება არ გაიცემა, შესაბამისი ორგანო უარს იტყვის ვიზისა და/ან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

ასევე, თუ უცხოელი ვერ მიიღებს ვიზას ან ბინადრობის ნებართვას, მისი შრომითი საქმიანობის უფლება გაუქმდება, რაც ავტომატურად გამოიწვევს მასთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას.

D1 ვიზისა და შრომითი/IT ბინადრობის ნებართვის მიღების ვალდებულება არ ვრცელდება იმ უცხოელებზე, რომლებსაც უკვე აქვთ საქართველოში მოქმედი ბინადრობის ნებართვა, ან რომლებიც მუშაობენ დისტანციურად ისე, რომ საქართველოში შემოსვლა არ სჭირდებათ.

რა პროცედურების გავლაა აუცილებელი ამ ეტაპზე?

- შრომითი საქმიანობის ნებართვას გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. განაცხადს შრომის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარადგენს ადგილობრივი დამსაქმებელი, ან თვითდასაქმებული უცხოელი.

- განაცხადს და საჭირო დოკუმენტებს წარადგენს:
  - დამსაქმებელი, თუ უცხოელთან გაფორმებულია შრომის ხელშეკრულება
  - თვითდასაქმებული უცხოელი, თუ ის არ არის დასაქმებული და ახორციელებს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას.

- ნებართვა გაიცემა:
  - დასაქმებულზე კონკრეტულ ადგილობრივ დამსაქმებელთან მუშაობის უფლებით
  - თვითდასაქმებულზე კონკრეტული საქმიანობის ან სპეციალობის მითითებით.

- სამინისტრო განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 30 დღის განმავლობაში.

- ნებართვის ზუსტი საფასური ჯერ დადგენილი არ არის, თუმცა კანონით განსაზღვრულია, რომ მომსახურების ტარიფი (მათ შორის დაჩქარებული წესით) არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

რა ახალი ვალდებულებები ექნება დამსაქმებელს?

- თუ შრომით იმიგრანტთან გაფორმებული ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება ან შეიცვლება, დამსაქმებელმა ამის შესახებ ინფორმაცია 5 დღის განმავლობაში უნდა ასახოს სამინისტროს ელექტრონულ სისტემაში.

- თუ დამსაქმებელს სურს შრომითი ხელშეკრულების გაგრძელება, მან შრომითი საქმიანობის ნებართვის გაგრძელება უნდა მოითხოვოს ნებართვის ვადის ამოწურვამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.

- თუ სამინისტრო აცნობებს, რომ უცხოელს შეუწყდა შრომითი საქმიანობის უფლება ან უარი ეთქვა ნებართვის გაცემაზე, დამსაქმებელმა 5 დღის ვადაში უნდა შეწყვიტოს შრომის ხელშეკრულება და წარადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები.

რა ელით უკვე დასაქმებულ უცხოელებს 1 მარტის შემდეგ?

მათ, ვინც 2026 წლის 1 მარტისთვის დარეგისტრირებული არიან სამინისტროს ელექტრონულ ბაზაში, უნდა მიიღონ შრომით საქმიანობის და შესაბამისი ბინადრობის ნებართვა არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრამდე.

ახალი წესები პრაქტიკაში: რა გამოწვევები იკვეთება?

ცვლილებებმა რამდენიმე გაურკვეველი და პრობლემური საკითხი გამოავლინა კერძოდ:

- **„თვითდასაქმებული უცხოელის“** ძალიან ფართო განმარტების გამო, შრომითი საქმიანობის ნებართვა დასჭირდებათ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების უცხოელ დირექტორებს, პარტნიორებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მაშინაც კი, თუ ისინი საქართველოში მუდმივად არ ცხოვრობენ.

- ჯერ-კიდევ არ არის მკაფიო სჭირდებათ თუ არა მუშაობის ნებართვა იმ თვითდასაქმებულ უცხოელებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ შემოსავალს იღებენ უცხოურ კომპანიებთან მუშაობით.

- ცვლილებები ეხება იმ უცხოელებსაც, რომლებიც ადრე საქართველოში უვიზოდ შემოდიოდნენ და ცხოვრობდნენ კანონით დაშვებული ვადით. ახალი წესებით, ვინც მიიღებს შრომითი საქმიანობის უფლებას, ვალდებული იქნება ჰქონდეს D1 სამუშაო ვიზა ან, თუ უკვე საქართველოშია, შრომითი ბინადრობის ნებართვა.

- პრობლემურია წესიც, რომლის მიხედვით შრომითი საქმიანობის უფლება შეიძლება გაუქმდეს, თუ თვითდასაქმებული უცხოელი 6 თვეზე მეტხანს იქნება საქართველოს ფარგლებს გარეთ. გაურკვეველია, როგორ იმოქმედებს ეს იმ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოში მუდმივად არ ცხოვრობენ, მაგალითად, უცხოელ დირექტორებზე, პარტნიორებსა და საბჭოს წევრებზე.

- გასაჩივრების მექანიზმიც სუსტია: თუ უცხოელს უარი ეთქვა შრომითი საქმიანობის უფლებაზე, მას შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება, მაგრამ ეს პროცესი არ აჩერებს მის გაძევებას ქვეყნიდან. ანუ, შესაძლოა მას მოუწიოს საქართველოს დატოვება მაშინაც კი, როცა მისი საჩივარი ჯერ-კიდევ განიხილება.

ამ ეტაპზე ასევე უცნობია, ზუსტად რა ვადებში და რა წესით უნდა წარადგინონ განაცხადი შრომითი საქმიანობის ნებართვის მისაღებად და რა დოკუმენტები იქნება საჭირო. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 2026 წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობამ უნდა დაამტკიცოს შრომითი საქმიანობის ნებართვის გაცემის დეტალური წესი. ვიმედოვნებთ, რომ ამ რეგულაციით გაირკვევა ზემოთ ჩამოთვლილი ბუნდოვანი და პრობლემური საკითხები.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.